ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 15

27 დეკემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:30 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს:

სხდომის დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის #12-032234375-03 წერილი), რომელიც შესაბამისი ცვლილებებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საკრებულოს განმეორებით 9 დეკემბერს წარედგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132 600 ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418 200 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714 400 ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით (1 438 775 200 ლარი) გაზრდილია 193 357 400 ლარით

2023 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 1 438 775,2 ათასი ლარი, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრება 0.0 ლარით. ბიუჯეტის პროექტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა (საოპერაციო სალდო) შეადგენს 321,883.8 ათას ლარს, ხოლო სხვაობა საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის (მთლიანი სალდო) წარმოდგენილია 42,115..5 ათასი ლარით. შესაბამისად,

წარმოდგენილი პროექტით 2023 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი პროფიციტულადაა დაგეგმილი.

წარმოდგენილი პროექტით დაფინანსდება ყველა ის მნიშვნელოვანი პროგრამა,

რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მაცხოვრებელთა სოციალურ დაცვას, ჯანდაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება/ გაუმჯობესებას, ტრანსპორტის განვითარებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კომუნალური მეურნეობების განვითარებას, განათლებას, სპორტსა და კულტურას და ა.შ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 522 096 400 ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიულიშენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 243 813 700 ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 211 901 700 ლარი;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 029 500 ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 696 300 ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144 160 700 ლარი;

განათლება - 225 917 800 ლარი;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 52 531 400 ლარი;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 11 436 800 ლარი.

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 179 548 300 ლარი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01. კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 02.09.01 პროგრამული კოდის ის ღონისძიება, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია

500 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შენობა-ნაგებობებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესია, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 500 000 ლარი სრულად იქნა ათვისებული და ტენდერში გამარჯვებული კომპანია წლის ბოლომდე გააგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ახალი სამისამართო აბრა დამონტაჟდა 5000-ზე მეტ მისამართზე და მოეწყო დაახლოებით 100 ქუჩის მიმანიშნებელი.

ვინაიდან 2022 წელს, წინა წლების ფასებთან შედარებით 16 ლარით მოიმატა ერთეული აბრის შესყიდვისა და მონტაჟის ღირებულებამ და დღეის მდგომარეობით ერთი ერთეული აბრის დამონტაჟების ღირებულება 76 ლარს შეადგენს, 02.09.01. პროგრამულ კოდში კი თანხები უცვლელი იყო, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, ხსენებული სხვაობის დასაკომპენსირებლად თანხების 150 000 ლარით გაზრდა მოითხოვა.

წინამდებარე პროექტში 02.09.01. პროგრამულ კოდში, მისამართის აღმნიშვნელი აბრებისთვის კვლავ 500 000 ლარია გათვალისწინებული, თუმცა მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან გამოითქვა მზაობა, წლის განმავლობაში წარმოშობილი ეკონომიების ხარჯზე განხორციელდეს თანხების მომავალში ზრდა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მხარს უჭერს საკრებულოს დადგენილების პროექტის, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე